ლოგიკური შედეგი

თბილისი, ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი, 1 მარტი.

„დინამო“ (თბილისი) – „დინამო“ (კიევი) 1:1 (0:1)

თბილისი: გაბელია, კეტაშვილი, ცაავა, მახარაძე, კუდინოვი, ჯოხაძე, მიქაბერიძე, სულაქველიძე, გურული (კაკილაშვილი, 84), გაზაევი, (შენგელია), მესხი.

კიევი: ვიქ. ჩანოვი, ბესონოვი, ბალტიჩი, ო. კუზნეცოვი, დემიანენკო, რაცი, იაკოვენკო (ბალი 81), იარემჩუკი, ზავაროვი (ევტუშენკო 17), ბელანოვი და ბლოხინი.

მსაჯი: ი. სავჩენკო (მოსკოვი)

გოლები: ზავაროვი (51), ი. კუზნეცოვი (საკუთარ კარში, 68)

მზიანი, თბილი დღეები თბილისში მოულოდნელად შეცვალა სუსხიანმა, თოვლიანმა დარმა და ფეხბურთის მოყვარულებს გვარიანად წაუხდინა ხასიათი. ცხადია, არავის უნდოდა საკავშირო ჩემპიონატის პირველი მატჩი თოვლით დაფარულ მინდორზე ჩატარებულიყო, მაგრამ „დინამოს“ სტადიონზე მოსულთ სულ სხვა სურათი ელოდა. საფეხბურთო მინდორი სულაც არ ჰგავდა ჰოკეის მოედანს და მწვანედ მობიბინე ბალახი სასიამოვნო სიურპრიზად დახვდა ათასობით მაყურებელს. სტადიონის თანამშრომლებმა დიდი მუშაობა გასწიეს სათამაშო მინდვრის მოსაწესრიგებლად, რუსთავიდან ჩამოიტანეს სპეციალურად დამზადებული ცელოფნის საფარი, რომელმაც მინდორი თოვლისგან დაიცვა.

ერთი სიტყვით, მატჩის დაწყებისთვის ყველაფერი რიგზე იყო. ერთი კია – უამინდობის გამო აღარ მოხერხდა ჩემპიონატის გახსნისადმი მიძღვნილი დიდი ზეიმის ჩატარება. თუმცა გულშემატკივრისთვის ზეიმი თვით საფეხბურთო სეზონის გახსნაა და ყველაზე მეტად მას სწორედ თამაშის მსვლელობა აღელვებდა.

პირველ მატჩს მუდამ განსაკუთრებული ინტერესით ველით ყველანი – გულშემატკივრებიც, სპეციალისტებიც და ჟურნალისტებიც. ფეხბურთს მოწყურებულებს, მაინცდამაინც პირველსავე შეხვედრაში გვინდა მივიღოთ პასუხი იმ მრავალრიცხოვან შეკითხვებზე, ზამთრის განმავლობაში რომ დაგვიგროვდა. ფეხბურთელებისთვის კი პირველი მატჩი განსაკუთრებით მძიმე ჩასატარებელია. სათამაშო პრაქტიკის უკმარისობის გამო ფსიქოლოგიური ტვირთიც იჩენს თავს. მასპინძლებს საქმეს ისიც ურთულებდა, რომ მათ სხვადასხვა მიზეზით რამდენიმე პირადი მოთამაშე აკლდათ (ვერ გამოვიდნენ ჩივაძე, ჭედია, სვანაძე, არზიანი), კიეველები კი, შეიძლება ითქვას, თითქმის უძლიერესი შემადგენლობით ასპარეზობდნენ.

სტუმართა პირველივე შეტევა სახიფათო გამოდგა: ზავაროვი სწრაფად გაიჭრა მარჯვენა ფლანგზე და თბილისელთა კარისკენ ჩააწოდა ბურთი – მცველებმა იგი კუთხურზე გააგზავნეს, მასპინძელთა საპასუხო იერიშში გაზაევი და მესხი მონაწილეობდნენ. ასეთი დასაწყისის შემდეგ ბრძოლამ მინდვრის შუაგულში

გადაინაცვლა და ბურთი საკმაოდ იშვიათად ხვდებოდა მეტოქეთა საჯარიმოში. თავი იჩინა სეზონის დამდეგისთვის დამახასიათებელმა და, ალბათ, გარდაუვალმა ნაკლმაც – მეტად დიდი იყო არაზუსტი გადაცემების რიცხვი, ეს კი ფეხბურთელებს საშუალებას არ აძლევდა მრავალსვლიანი კომბინაციები გაეთამაშებინათ. საუბარია არა მხოლოდ საშუალო და გრძელ პასებზე, არამედ მოკლე გადაცემებზეც, რაშიც ორივე გუნდის წევრები სცოდავდნენ.

ასეთი თამაში დაახლოებით ნახევარი საათს გაგრძელდა. ამ ხნის მანძილზე მაინცდამაინც ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით ორიოდე შორეულ დარტყმას (მიქაბერიძე, იარემჩუკი). ანგარიში 37-ე წუთზე გაიხსნა. რაცმა მარცხენა ფლანგიდან ზუსტად მიაწოდა ბურთი საჯარიმოში უმეთვალყურეოდ მიტოვებულ ზავაროვს, რომელმაც აუღელვებლად, სწორად შეაფასა შექმნილი სიტუაცია და ზუსტი დარტყმით კიეველები დააწინაურა. ამ მომენტამდე მასპინძელთა მცველები საკმაოდ კარგად ართმევდნენ თავს მოვალეობას: ბლოხინს კეტაშვილი მეურვეობდა, ბელანოვს კი ფეხდაფეხ დაჰყვებოდა კუდინოვი, სულაქველიძეც დროულად ეხმარებოდა პარტნიორებს, მაგრამ გაშვებულ გოლში ჩვენს მცველებს უდავოდ მიუძღვით ბრალი.

ტაიმის დამთავრებას აღარაფერი აკლდა, როცა ცაავამ ზუსტი პასით ხელსაყრელ პოზიციაში გაიყვანა მესხი. თავდამსხმელის ძლიერი დარტყმა ჩანოვმა კუთხურზე მოიგერია. ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა მეორე ტაიმის დასაწყისშიც, მაგრამ მესხმა ვერც ეს შანსი გამოიყენა, თუმცა, საბოლოოდ თბილისელები სწორედ მესხის აქტიურობამ იხსნა წაგებისგან. იმავ წუთზე იგი მარცხენა ფრთიდან სწრაფად მიუახლოვდა კარს და ძლიერად დაარტყა. ბურთის მოგერიება ო. კუზნეცოვმა სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა და ბურთი ჩანოვის კარის ბადეში გაეხვია – 1:1.

ფრე ამ მატჩის ლოგიკური შედეგი იყო. მართალია, თამაშის მიწურულს ორივე გუნდს შეეძლო დაწინაურება, მაგრამ კაკილაშვილის (მე–80 წუთზე) და ბლოხინის (62-ზე) სახიფათო დარტყმების შემდეგ მეკარეებმა იმარჯვეს. მეტოქეებმა პირველი ქულები მოიპოვეს, თუმცა ზოგი მკითხველი გვეტყვის, პირველი ქულებიც დაკარგესო. მართალიც არის, მაგრამ უდანაკარგოდ ასეთ მარათონულ შეჯიბრებას ვინ გაივლის?

დავით კაკაბაძე

დუბლიორთა მატჩი

28 თებერვალს თბილისში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე, გაიმართა თბილისისა და კიევის „დინამოს“ სათადარიგო შემადგენლობათა საკავშირო პირველობის მატჩი ფეხბურთში.

საინტერესო თამაში, რომელიც დათოვლილ მინდორზე მიმდინარეობდა, დამთავრდა თბილისი დინამოელთა გამარჯვებით – 3:0, პირველი ბურთი შესვენებამდე გოგრიჭიანმა გაიტანა 11–მეტრიანი, შესვენების შემდეგ კი ზედიზედ ორჯერ თავი გამოიჩინა მიქაშავიძემ.

თბილისი „დინამოს“ შემადგენლობა: მეშკოვი, ჩიხრაძე (ელიაშვილი), ლაცაბიძე, ელოევი, თევზაძე, კაკილაშვილი (სვიმონიშვილი), ცომაია, გოგრიჭიანი (კუდიაშვილი), მაქაშავიძე, ფანცულაია, რევიშვილი.

ლელო 21.03.1986